

ნინო თოფურია

დოკუმენტბრუნვისა და მართვის ამოცანების ავტომატიზაცია

(ლაბორატორიული პრაქტიკუმის დამხმარე სახელმძღვანელო)



დამტკიცებულია:

სტუ-ს „IT-კონსალტინგის“ სამეცნიერო
ცენტრის სარედაქციო-საგამომცემლო
კოლეგიის მიერ

თბილისი
2017

უაკ 004.5

განიხილება ინტერნეტ-პორტალის დაპროექტება Microsoft SharePoint Server-ის ბაზაზე და ამის საფუძველზე დოკუმენტრუნვის ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია. განიხილება სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების ვებ-საიტების შექმნა. ახსნილია თანამშრომლობისა და ჯგუფური სერვისების გამოყენების მოქნილი შესაძლებლობები. კერძოდ, დოკუმენტებთან მუშაობის წესები, დოკუმენტების ვერსიების მართვა ფილტრაციის და სორტირების საკითხები, შეტყობინებათა მართვა. გამახვილებულია ყურადღება ისეთ საკითხებზე, რომლებიც საშუალებას აძლევს მომხმარებლებს კომფორტულად იმუშაონ ერთმანეთთან, საჭირო დოკუმენტაციის გასაზიარებლად, საქმეების დასაგემად და გადასანაწილებლად. შემოთავაზებულია მონაცემთა ბაზასთან დაშორებული კომპიუტერიდან წვდომის საშუალებები SharePoint Server-ის, SharePoint Designer-ისა და InfoPath-ის ერთობლივი გამოყენების საფუძველზე.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ინფორმატიკის სპეციალობის ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის. იგი შეიძლება აგრეთვე გამოიყენოს მაგისტრანტებმა, დოქტორანტებმა და ამ საკითხებით დაინტერესებულმა მკითხველმა.

რეცენზენტები:

პროფ. ე. თურქია (სტუ)

ასოც. პროფ. დ. გულუა (თსუ)

პროფ. გია სურგულაძის რედაქციით

© სტუ-ს „IT კონსალტინგის სამეცნიერო ცენტრი“, 2017

ISBN 978-9941-0-9844-4

ყველა უფლება დაცულია, ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არაბაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

შინაარსი

შესავალი	4
SharePoint Server-ის სამუშაო გარემო (ლაბ.1)	5
wiki -გვერდისა და ბლოგის შექმნა (ლაბ.2)	13
საიტის შექმნა (ლაბ.3)	17
ინფორმაციასთან წვდომის მართვა (ლაბ.4)	26
დოკუმენტბრუნვა (ლაბ.5)	36
მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება ტერიტორიულად დაშორებული..... კომპიუტერიდან (ლაბ.6).....	48
Secure Store სამსახურის შექმნა (ლაბ.7)	54
სამუშაოს მიზანი: Web-ნაწილების გამოტანა ვებ-გვერდზე (ლაბ.8)	66
სამუშაო პროცესების შაბლონების გამოყენება (ლაბ.9).....	77
ხელმოწერების სამუშაო პროცესის შექმნა (ლაბ.10)	89
უკუკავშირების სამუშაო პროცესის შექმნა (ლაბ.11)	92
სამუშაოს პროცესების ავტომატიზაცია SharePoint Designer-ის	
საშულებით (ლაბ.12)	96
დინამიკური ფორმების შექმნა და მართვა Infopath-კლიენტის.....	
საშუალებით (ლაბ.13).....	103
ლიტერატურა:.....	106

შესავალი

განხილულია კორპორატიული პორტალის დაპროექტებისა და დოკუმენტბრუნვის ავტომატიზაციის ეტაპები Microsoft SharePoint Server-ის საშუალებით. მოცემულია Ms SQL Server-ზე დაპროექტებული მონაცემთა ბაზის დაკავშირება SharePoint Server-თან SharePoint Designer-ის საშუალებით.

პირველი ლაბორატორიული სამუშაოს მიზანია SharePoint Server-ის ძირითადი კომპონენტებისა და ინტერფეისის გაცნობა, დოკუმენტებთან მუშაობის შესწავლა SharePoint ინტერნეტ-პორტალში.

მეორე, მესამე და მეოთხე ლაბორატორიულ სამუშაოში განმარტებულია ახალი საიტის, ვიკი-გვერდების, ბლოგების, სიების, დოკუმენტების ბიბლიოთეკის შექმნის წესები.

მეოთხე ლაბორატორიულ სამუშაოში განმარტებულია საიტისა და ქვესაიტისათვის, დოკუმენტების ბიბლიოთეკისა და სიებისათვის, ცალკეულ ფაილზე წვდომის უფლებების მინიჭების წესები. დეტალურადაა ახსნილი ახალი მომხმარებლის დამატების წესები.

მეხუთე ლაბორატორიული სამუშაო ეხება დოკუმენტბრუნვის წარმოებას უკვე დაპროექტებულ პორტალზე. განიხილება დოკუმენტების ვერსიები და სამუშაო სივრცე, ფილტრაციის და სორტირების საკითხები, შეტყობინებათა მართვა.

მექვსე და მეშვიდე ლაბორატორიულ სამუშაოში აღწერილია SQL Server-ის დაკავშირება SharePoint Server-თან SharePoint Designer-ის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის შესაძლებლობას ტერიტორიულად დაშორებული კომპიუტერებით.

მერვე ლაბორატორიული სამუშაო ეძღვნება ვებ-ნაწილების გამოტანას SharePoint Server-ის საიტზე. კერძოდ, ახსნილია Excel-ის დიაგრამებისა და Google Map-ის გამოტანა კორპორაციის ვებ-გვერდზე.

მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე ლაბორატორიულ სამუშაოებში დახასიათებულია ჩაშენებული სამუშაო პროცესების შაბლონები, რომლებიც გამოიყენება ზოგად ბიზნეს-სცენარებში. ჩამოთვლილი და განხილულია დამტკიცებითი, ხელმოწერების და უკუკავშირების სამუშაო პროცესები. კონკრეტულ მაგალითებზეა ახსნილი მათი მუშაობის პრინციპები.

მეთორმეტე ლაბორატორიულ სამუშაოში აღწერილია ისეთი სამუშაო პროცესების შექმნის წესები, რომლებიც განსხვავდება ჩაშენებული შაბლონებისაგან. ასეთი მიზნებისათვის განხილულია SharePoint Designer-ის გამოყენების წესები.

მეცამეტე ლაბორატორიულ სამუშაოში აღწერილია დინამიკური ფორმების შექმნა და მართვა Infopath-კლიენტის საშუალებით. ახსნილია დოკუმენტებზე ციფრული ხელმოწერების ფორმირების წესები.

ლაბორატორიული სამუშაო N1: SharePoint Server-ის სამუშაო გარემო

სამუშაოს მიზანი: SharePoint Server-ის ინტერფეისის გაცნობა; დოკუმენტების ბიბლიოთეკის შექმნა; დოკუმენტების ატვირთვა.


თეორიული ნაწილი:

ღრუბლოვანი სერვისის კორპორაციულ ქსელში რეალიზაცია საკმაოდ შრომატევადია. ამისათვის აუცილებელია პროგრამული და აპარატურული უზრუნველყოფა. მას შემდეგ, რაც პროგრამული ან ვებ-სერვერი გაწყობილი იქნება, შესაძლებელი გახდება შიდა ღრუბლოვანი სერვისების დანერგვა.

SharePoint Server-ის ინსტალაციის დასრულების შემდეგ ღრუბლოვანი სერვისის საწყისი ინტერფეისის გამოძახება შეიძლება ლოკალური ან კლიენტ-კომპიუტერის ბრაუზერიდან რესურსის URL-ის მითითებით (ნახ.1).

SharePoint-ის დადებითი მხარეა, ისიც რომ ადვილია მისი გამოყენება. ამისათვის კლიენტის მხარეს საკმარისია ნებისმიერი ინტერნეტ-ბრაუზერი (Internet Explorer, Mozilla Firefox, Google Chrome, Opera), ხოლო სერვერზე სერვისთა სირთულის მიხედვით შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა პროგრამები.

ვებ-ბრაუზერში აკრეფილი მისამართი, Sharepoint-პორტალზე შესვლისათვის.



ნახ. 1. ვებ-ბრაუზერში აკრეფილი მისამართი

ღრუბლოვანი სერვისის ასაგებად მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს სხვადასხვა ობიექტებით; ესენია: ბიბლიოთეკები, სიები, ვებ-გვერდი, ვებ-საიტი. მომხმარებელი კი ირჩევს ობიექტს იმის მიხედვით, თუ რომელი ფუნქციონალი სჭირდება: იქნება ეს მონაცემთა ბაზა, შიგთავსის მართვა, თუ სხვა.

თითოეული ამ სერვისისთვის დეტალურად განისაზღვრება წვდომათა მართვის სიები, რის საფუძველზეც კორპორაციული ქსელი ერთიან ინფორმაციულ პორტალს წარმოადგენს, სადაც კომფორტულად მუშაობის საშუალებები გააჩნიათ ორგანიზაციული იერარქიის სხვადასხვა დონეზე მდგომ მომხმარებლებს.

შეზღუდვების დაწესებისა და უფლებათა გაცემის პროცესს სისტემაში მართავას სუპერუფლებების მქონე ერთი ან რამდენიმე ადმინისტრატორი. ყველა დანარჩენი მომხმარებელი სისტემაში მეტნაკლებად შეზღუდულია. მომხმარებელთა დაჯგუფების ნიმუში მოცემულია ცხრილში.


<i>ჯგუფები</i>	<i>აღწერა</i>
ადმინისტრატორები	სრული წვდომა ყველა ფუნქციონალურ კვანძზე.
დიზაინერები	პორტალის დიზაინის მოდიფიცირება, გვერდების და შვილობილი კვანძების შექმნა.
ავტორები, მონაწილეები	ვებ-გვერდის კონტენტით შევსება.
დამთვალეირებლები	ვებ-გვერდის დამთვალეირება

ბიბლიოთეკები (Libraries) - ყველა ტიპის დოკუმენტის საცავი (ბიბლიოთეკები დოკუმენტების, გრაფიკული ინფორმაციის, ანგარიშების, სლაიდებისა და სხვა ტიპის ინფორმაციის შესანახად და გამოსატანად);

სიები (Lists) - კონტეინერული ტიპის ელემენტი ინფორმაციის სხვადასხვა ტიპის წყაროებიდან ინფორმაციის მოპოვებისა და კონსოლიდირებული ასახვისთვის; სიების ნიმუშებად შეიძლება დავასახელოთ კალენდარი, კონტაქტების ბაზა, დავალებები, სადისკუსიო პლატფორმა და სხვა.

ვებ-გვერდი (Page) – ახალი გვერდი არსებული ვებ-საიტის ფარგლებში;


ვებ-საიტი (Site) - ახალი ვებ-საიტი რომელიმე დავალების შესასრულებლად. ვებ-საიტების კატეგორიებია საძიებო საიტი, გუნდური სამუშაო საიტი, ბლოგი, საკონტაქტო ინფორმაციის მართვის საიტი და სხვა მრავალი.



ნახ. 2. SharePoint საიტის ინტერფისი


სიები

სიები - ესაა მომხმარებლის მონაცემების შენახვის ადგილი. სიები არსებობს სხვადასხვა სახის - ამოცანები, შეტყობინებები, კლიენტების სიები, შეკვეთების სიები



ნახ. 3. სიები

სიების მონაცემების რედაქტირება შესაძლებელია ფორმების საშუალებით



ნახ. 4. სიის რედაქტირებისათვის განკუთვნილი ფორმა

დოკუმენტების ბიბლიოთეკა - ესაა დოკუმენტებისა და ფაილების შენახვის ადგილი. აქ შესაძლებელია პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის ფაილის შენახვა - Word, Excel, PowerPoint და სხვა.

სამუშაოს მსვლელობა:

ახალი ბიბლიოთეკის შესაქმნელად ავირჩიოთ ბრძანება Site Action → New Document Library. ეკრანზე გამოჩნდება ნახაზზე ნაჩვენები დიალოგური ფანჯარა, სადაც საჭიროა მითითებული ველების შევსება (ნახ. 5).


მე-6 და მე-7 ნახაზებზე ნაჩვენებია დოკუმენტების ატვირთვის პროცესი.

ნახ. 5. დოკუმენტების ბიბლიოთეკის შექმნის ფორმა

ნახ. 6. კონკრეტული დოკუმენტის ატვირთვა ბიბლიოთეკაში


მე-8 ნახაზზე წარმოდგენილია ბიბლიოთეკაში უკვე ატვირთული დოკუმენტი.

ნახ. 7. დოკუმენტის ადგილმდებარეობის მითითება




ნახ.8. ბიბლიოთეკაში აქტირებული დოკუმენტი

ერთდროულად შესაძლებელია რამდენიმე დოკუმენტის ატვირთვა, ბრძანებით “Upload Multiple Files. . .” (ნახ. 9-10).




ნახ. 9.რამდენიმე დოკუმენტის ატვირთვის ბრძანება




ნახ.10. რამდენიმე დოკუმენტის ატვირთვა

ერთდროულად ატვირთულ დოკუმენტებს მე-11 ნახაზზე წარმოდგენილი სახე აქვს:




ნახ.11. ერთდროულად ატვირთული დოკუმენტები

დოკუმენტის გახსნა და რედაქტირება შესაძლებელია უშუალოდ საიტიდან; კერძოდ, მისი კონტექსტური მენიუდან (ნახ. 12).



ნახ. 12. დოკუმენტის კონტექსტური მენიუ



ნახ. 13. სიების დალაგება სხვადასხვა კრიტერიუმებით

ლაბორატორიული სამუშაო N2: wiki -გვერდისა და ბლოგის შექმნა

სამუშაოს მიზანი: wiki -გვერდის შექმნა; ბლოგის შექმნა;

სამუშაოს მსვლელობა:


wiki-გვერდები

ვიკი და ბლოგები - ეს ტექნოლოგიაა, რომელიც საშუალებას აძლევს ნებისმიერ მომხმარებელს შექმნას და გამოაქვეყნოს ვებ-გვერდები ინტერნეტში. პლატფორმა Microsoft SharePoint მომხმარებლებს სთავაზობს ორივემათგანს.


ვიკი-გვერდის შექმნა

ვიკი-გვერდები შეიცავს ინფორმაციას რაიმე ფაქტების შესახებ ან კონკრეტულ რჩევებს. ვიკი-ბიბლიოთეკის ახალი გვერდის შექმნა შეიძლება შემდეგი თანამიმდევრობით:


1. აკრიფეთ საჭირო ტექსტი. ორმაგ ფრჩხილებში აკრიფეთ მიმართვისათვის (link) განკუთვნილი ტექსტი
2. ორმაგ ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტი გახდება მიმართვა (link) იმ გვერდზე, რომლის სათაურიც ემთხვევა მიმართვის (link) სათაურს. ამასთან, თუ გვერდი არსებობს, მაშინ მიმართვას არ გაესმება ხაზი, ხოლო თუ გვერდი არ არსებობს, მაშინ ხაზი გაესმება. პირველ შემთხვევაში მიმართვაზე კლიკით მომხმარებელი გადავა სხვა გვერდზე, ხოლო მეორე შემთხვევაში ეკრანზე გამოჩნდება გვერდის შექმნის დიალოგური ფანჯარა. თუ მომხმარებელი დაეთანხმება გვერდის შექმნას, გვერდი შეიქმნება (ნახ.14-17).




ნახ. 14. ვიკი-გვერდის ლინკების შექმნა



ნახ. 15. ვიკი-გვერდის ლინკი



ნახ. 16. გვერდის შექმნის დიალოგი




ნახ. 17. გვერდისთვის სახელის მინიჭება

ბლოგის შექმნა

ბლოგი - ესაა პერსონალური ჟურნალი ან დღიური, ხოლო ვიკი-კვანძზე სტატიის გამოქვეყნება შეუძლია ნებისმიერ მომხმარებელს. ვიკი (Wiki) – ნიშნავს „სწრაფად“ და ეს ტექნოლოგია ცნობილია „ღია რედექტირების სახელით“, თუ გვერდი ცუდადაა „აწყობილი“ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია მისი შეცვლა.

ბლოგის შექმნა საკმაოდ მარტივია. საჭიროა აირჩიოთ ბრძანება Site Actions → New Site → Blog (ნახ.18).




ნახ. 18. ახალი ბლოგის შექმნის ფორმა


ბრძანების არჩევის შემდეგ ეკრანზე გამოჩნდება ბლოგის საშინაო გვერდი (ნახ.19).



ნახ. 19. ბლოგის საშინაო გვერდი

უკვე შექმნილ ბლოგს აქვს ნახ.20-ზე ნაჩვენები სახე.



Site Actions  Browse

 Microsoft SharePoint 2010 ბლოგი

Home

Categories
 Category 1
 Category 2
 Category 3
 + Add new category

Archives
 February
 show more >

 Recycle Bin
 All Site Content

Welcome to your Blog!
 by ASU\administrator on 2/4/2017 4:33 AM

February 04




To begin using your site, click **Create a Post** under **Blog Tools**.

What is a Blog?

A Blog is a Web site designed to help you share information related to images, links, and other media such as video. Blogs can be used in many ways.

Blog posts usually consist of frequent short postings and are typically ordered by date (newest entries first). Blogs encourage site visitors to interact with the content.

Blogs can also be used as a team communication tool. Keep team members informed for links and relevant news.

 |  |  0 Comment(s)

ნახ. 20. შექმნილი ბლოგი

ლაბორატორიული N3: საიტის შექმნა

სამუშაოს მიზანი: საიტის შექმნის პროცესის შესწავლა


საიტის შექმნა

საიტის საშუალებით შესაძლებელია:

- განყოფილების დოკუმენტებისა და მონაცემთა ბაზების შენახვა;
- პროექტზე ერთდროული მუშაობის ორგანიზება;
- მოამზადოთ შეხვედრის მასალები და შეტყობინებები;
- მოამზადოთ სპეციალური ვებ მონაცემთა ბაზები, ცოდნის ბაზები
- მოახდინოთ ბიზნეს-პროცესების ავტომატიზაცია;
- შექმნათ ბლოგები


თითოეული შექმნილი საიტისათვის შესაძლებელია ადმინისტრატორის განსაზღვრა - რაც საშუალებას იძლევა ადვილად გაანაწილოთ პასუხისმგებლობა ინფორმაციის სხვადასხვა ბლოკების მართვაზე. საიტის შექმნა შეუძლია ადმინისტრატორის უფლების მქონე მომხმარებელს.

საიტის შესაქმნელად აირჩიეთ ბრძანება Site Action → New Site (ნახ.21).




ნახ. 21. საიტის შექმნის ბრძანება

ეკრანზე გამოჩნდება საიტის შესაქმნელად განკუთვნილი ფორმა, სადაც აირჩევთ საიტებს კატეგორიების მიხედვით, აქვე აუცილებელია საიტის სახელის მითითება და საიტის URL სახელი, აუცილებლად ინგლისურ ენაზე (ნახ.22).



ნახ. 22. საიტის ტიპის არჩევის ფორმა

სახელის დარქმევის შემდეგ გადავდივართ დამატებით პარამეტრებში, სიდანაც ვუთითებთ ვის ჰქონდეს წვდომა ჩვენს საიტზე განთავსებულ ინფორმაციაზე, გამოჩნდეს თუ არა სარჩევი საიტზე და ა.შ (ნახ.23).




ნახ. 23. საიტის შექმნის ფორმა

ამ ბიჯების შესრულების შემდეგ გამოჩნდება ჩვენ მიერ შექმნილი საიტი, ნავიგაციისათვის მენიუ და ლინკები.


ახლა, როცა უკვე შექმნილი გვქვს საიტი შეგვიძლია გავაკეთოთ ბიბლიოთეკა დოკუმენტებისათვის.

საიტის პარამეტრების შეცვლა შესაძლებელია ბრძანებით Site Permissions (ნახ.24)



ნახ. 24. საიტის პარამეტრების შეცვლა

ბრძანების არჩევის შემდეგ შემდეგ გაიხსნება საიტის პარამეტრების ფორმა. უკვე შექმნილი საიტის სახელისა და საიტის URL-სახელის შეცვლა შესაძლებელია ბრძანებით Title, description, and icon (ნახ.25).



ნახ. 25. საიტის პარამეტრების შეცვლა

ეკრანზე გაიხსნება ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა შეცვალოთ საჭირო პარამეტრები (ნახ.26).

Title:
შუღალტერია

Description:

URL:

[Click here to test](#)


Enter a description (used as alternative text for the picture):

URL name:

OK Cancel

ნახ.26. URL-ის შეცვლა


მაგალითად URL-სახელის შეცვლისას, საიტი მიიღებს სურათზე ნაჩვენებ სახეს:



ნახ.27. საიტზე მითითებული მისამართი

საიტის წაშლა

საიტის წაშლა შესაძლებელია ბრძანებით Delete this site (ნახ.28).



ნახ. 28. საიტის წაშლის ბრძანება


წაშლის ბრძანების მითითების შემდეგ SharePoint ეკრანზე გამოიტანს წაშლის დამადასტურებელ შეტყობინებას. საყურადღებოა, რომ საიტის შექმნისას წაიშლება მთელი მისი კონტენტი. წაშლილი საიტის აღდგენა შრომატევადი ოპერაციაა (ნახ.29).



ნახ. 29. საიტის წაშლა

საიტის მდებარეობის განსაზღვრა

საიტის ადგილმდებარეობის დასადგენად არსებობს ბრძანება (ნახ.30).
Site Action → View All Site Content



ნახ. 30. საიტის მდებარეობის განსაზღვრა

ეკრანზე გამოტანილი ფორმა ასახავს მოცემული საიტის ყველა ქვესაიტს (ნახ.31).


Sites and Workspaces		
	Lab	2 hours ago
	team	2 weeks ago
Recycle Bin		
	Recycle Bin	Use this page to restore items that you have deleted from this site, or to empty deleted items. 0

ნახ. 31. საიტის შემცველობის დათვალიერება


საიტის გარეგანი სახის აწყობა

საიტის ემბლემა ანუ კომპანიის ლოგოტიპი მოთავსებულია საიტის ზედა მარცხენა კუთხეში. თემატური ემბლემის შერჩევა შესაძლებელია მისამართზე <http://www.iconfinder.com/>

საიტის დიზაინის შერჩევა შესაძლებელია ბრძანებით Site theme. ამ ბრძანებით შესაძლებელია შრიფტის ტიპის, ფერის და ზომის შეცვლა და სხვა პარამეტრები (ნახ.32-33).




ნახ. 32. Site theme ბრძანება



ნახ. 33. დიზაინის შერჩევა

თანამშრომლის პროფილის შევსება

თანამშრომლის პროფილი - ესაა მისი online-სახე კომპნიაში. მოცემული ფორმის ვებზე ავსებს თვითონ თანამშრომელი.



ნახ. 34. My Profile ბრძანების არცევა

Internet Explorer - Edit Details

http://win-r9knnmkabit/my/_layouts/EditProfile.aspx?accountname=SP%

File Edit View Favorites Tools Help

My Site My Newsfeed My Content My Profile Find People

Site Actions Browse

Upload a picture to help others easily recognize you at meetings and events.

Ask Me About: Everyone
 Update your "Ask Me About" with topics you can help people with, such as your responsibilities or areas of expertise.

Distinguished Name: CN=Administrator,CN=Users,DC=sp,DC=int Everyone

Contact Information Show To

Mobile phone: Everyone
 This number will be shown on your profile. Also, it will be used for text message (SMS) alerts.

Fax: Everyone

Home phone: My Colleagues

Office Location: Everyone
 Enter your current location. (e.g. China, Tokyo, West Campus)

Time Zone: Everyone
 Select the time zone for your current location. We will use this information to show the local time on your profile page.

Assistant: Everyone

Details Show To

Past projects: Everyone
 Provide information on previous projects, teams or groups.

ნახ. 35. თანამშრომლის პროფილის შესავსები ფორმა

ფორმის შევსების შემდეგ, აუცილებელია მისი დამახსოვრება (ნახ.36).

<input type="button" value="Save and Close"/> <input type="button" value="Cancel and Go Back"/>	
Basic Information	
Account name:	SP\Administrator
Name:	SP\Administrator
About me:	<div style="border: 1px solid gray; padding: 5px;"> Georgian Technical University, Associate Professor </div> <p>Provide a personal description expressing what you would like others to know about you.</p>
	Everyone

ნახ. 36. ფორმის დამახსოვრების ბრძანება

ლაბორატორიული სამუშაო N4: ინფორმაციასთან წვდომის მართვა

სამუშაოს მიზანი: საკუთარ ინფორმაციასთან წვდომის მართვის საკითხების შესწავლა
თეორიული ნაწილი:

ვინაიდან SharePoint Server-ი წარმოადგენს კორპორაციულ ღრუბელს და შესაბამისად განკუთვნილია საშუალო ან დიდი კომპანიებისათვის, ბუნებრივია თითოეულ თანამშრომელს სურვილი გაუჩნდება გარკვეული ინფორმაცია გამოაჩინოს/დამალოს ამა თუ იმ თანამშრომლისგან.

მიმართვის უფლებათა ტიპები:

სრული მიმართვის უფლება - ამ უფლების დროს მომხმარებელს შეუძლია მართოს საიტის აწყობის პარამეტრები, შექმნას ქვესაიტები, მართოს ყველა ჯგუფის მომხმარებელთა უფლებები.

დაპროექტების უფლება - შეუძლია დაათვალიეროს, დაამატოს, განაახლოს, წაშალოს; შესაძლებელია საიტზე დოკუმენტების ახლი ბიბლიოთეკების და სიების შექმნა საიტზე, მაგრამ არ აქვს საიტის მართვა მთლიანობაში.

ერთდროული მუშაობა - ეს უფლება შეიძლება ითქვას ძირითადია SharePoint Server-ის მომხმარებელთა უმრავლესობისათვის. ამ უფლების მქონე მომხმარებელს აქვს ყველა საშუალება დოკუმენტებისა და ინფორმაციის შექმნისა და რედაქტირებისათვის.

კითხვის უფლება - დასაშვებია სიების ელემენტებისა და გვერდების დათვალიერება და დოკუმენტების ჩატვირთვა.


მხოლოდ წაკითხვა - დასაშვებია საიტის გვერდების, სიის ელემენტების დათვალიერება. სერვერზე არსებული დოკუმენტების დათვალიერება დასაშვებია, ხოლო ჩამოტვირთვა არ არის დასაშვები.

მიმართვის უფლებების მართვა შესაძლებელია SharePoint-ის სხვადასხვა ელემენტებისათვის:

- საიტისა და ქვესაიტისათვის;
- დოკუმენტების ბიბლიოთეკასა და სიებისათვის;
- ცალკეულ ფაილზე.

მიმართვის ჯგუფები - ესაა რამდენიმე მომხმარებლის გაერთიანებისა და მათთვის გარკვეული უფლებების მინიჭების საშუალება. რასაკვირველია, ჯგუფში გაერთიანებული მომხმარებლების უფლებების მართვა გაცილებით მოსახერხებელია. გაჩუმების პრინციპით მომხმარებელთა უფლებები შექმნილ ქვესაიტებზე, ბიბლიოთეკებსა და სიებზე ვრცელდება მემკვიდრეობით (მემკვიდრეობით ღებულობენ მშობელი საიტიდან).

საიტთან მიმართვის უფლებების აწყობა შესაძლებელია ბრძანებით Site Actions → Site Permissions (ნახ.37).




ნახ. 37. საიტი ღებულობს უფლებებს მემკვიდრეობით

სამუშაოს მსვლელობა:

საიტთან მიმართვის უფლებები


საიტთან მიმართვის უფლებების აწყობა შესაძლებელია ორი გზით:

1. საიტის პარამეტრებიდან, ბრძანებით Site Actions → Site Permissions (ნახ.38).



ნახ. 38. ბრძანება Site Permissions

2. ბრძანებით Site Actions → Site Settings → Site Permissions (ნახ.39).




ნახ. 39. საიტან მიმართების მართვა საიტის პარამეტრებიდან

ბიბლიოთეკასთან/სიებთან მიმართვის უფლებები

ბიბლიოთეკასთან/სიებთან მიმართვის უფლებებთან წვდომა შეიძლება ორი ხერხით:

1. მონიშნეთ ფაილი, ლენტისა და აირჩიეთ ბრძანება Library და დილაკი Library Permission (ნახ.40).



ნახ. 40. ბიბლიოთეკასთან მიმართვის უფლებების არჩევა ლენტისა და დილაკიდან.

2. აირჩიეთ დილაკი Library Settings → Permissions for this document library (ნახ.41).

List Information	
Name:	საერთო დოკუმენტები
Web Address:	http://win-r9knnmkabit:5555/lab/DocLib/Forms/AllItems.aspx
Description:	
General Settings	Permissions and Management
<u>Title, description and navigation</u>	Delete this document library
Versioning settings	Save document library as template
Advanced settings	Permissions for this document library
Validation settings	Manage files which have no checked in version
Column default value settings	Workflow Settings
Audience targeting settings	
Metadata navigation settings	
Per-location view settings	

ნახ. 41. ბრძანება Permissions for this document library

ფაილთან წვდომის უფლებები


ფაილთან წვდომის უფლებების განსაზღვრა შეიძლება შემდეგი ბრძანებებით:

1. მონიშნეთ დოკუმენტი, აირჩიეთ ბრძანება Manage Permissions კონტექსტური მენიუდან (ნახ.42).

The screenshot shows a document library interface. At the top, there are tabs for 'Library Tools', 'Documents', and 'Library'. Below that, a breadcrumb path reads 'Lab > საერთო დოკუმენტები > All Documents'. A table lists documents with columns for 'Type', 'Name', and 'Modified'. The documents listed are 'ახალი პროდუქცია', 'ივნისის გაყიდვები', 'მაისის გაყიდვები', and 'ხელშეკრულება 001'. A context menu is open over the 'ივნისის გაყიდვები' document, showing options: 'View Properties', 'Edit Properties', 'Edit in Microsoft Excel', 'Check Out', 'Alert Me', 'Send To', 'Manage Permissions', and 'Delete'. A red arrow points to the 'Manage Permissions' option.


ნახ. 42. ფაილთან მიმართვის მართვა კონტექსტური მენიუდან

2. მონიშნეთ დოკუმენტი, ლენტოდან აირჩიეთ ბრძანება (ნახ.43).




ნახ. 43. ფაილთან მიმართვის მართვა ლენტოდან

იმისათვის, რომ გავარკვიოთ აქვს თუ არა წვდომა ამა თუ იმ მომხმარებელს ან მომხმარებელთა ჯგუფს ავირჩიოთ ბრძანება Site Action → Site Permission (ნახ.44).




ნახ. 44. მომხმარებელთა წვდომის უფლებების განსაზღვრა

თუ მომხმარებელს არ აქვს მოცემულ დოკუმენტთან წვდომის უფლება, ღილაკი Check permission გვაძლევს ასეთ შედეგს (ნახ.45).



ნახ. 45. მოცემული დოკუმენტისათვის მომხმარებლის წვდომის შემოწმების შედეგი

მომხმარებლისათვის უფლებების მინიჭება შეიძლება ღილაკით Grant Permissions (ნახ.46).




ნახ. 46. უფლებების მინიჭების ფორმა


ახალი მომხმარებლების ჩამატება

იმისათვის, რომ ახალმა მომხმარებლებმა შეძლონ კორპორაციულ საიტთან მუშაობა, აუცილებელია მათი საადრიცხო ჩანაწერების (User Account) შექმნა. აღსანიშნავია, რომ ეს საადრიცხო ჩანაწერები ჯერ უნდა შეიქმნას Windows Server-ში, ხოლო შემდეგ მათ უნდა მივანიჭოთ SharePoint Server-ზე მუშაობის უფლებები.


ახალი საადრიცხო ჩანაწერების შექმნის პროცესი ასახულია 47-ე, 48-ე და 49-ე ნახაზებზე.



ნახ.47. Active Directory საქაღალდის გააქტიურება Windows Server-ზე



ნახ. 48. ახალი მომხმარებლის ჩანაწერის შექმნა




ნახ. 49. ახალი მომხმარებლის ფორმის შევსება

ამგვარად, შეიქმნება ახალი მომხმარებლის საადრიცხო ჩანაწერი (User Account). იმისათვის, რომ ამ მომხმარებელმა შეძლოს Sharepoint Server-ში მუშაობა, იგი უნდა გავაწევრიანოთ Sharepoint Server-ის მომხმარებელთა რომელიმე ჯგუფში. გვაქვს სამი ჯგუფი:

1. asu\administrator
2. delegated administrators
3. farm administrators

ჯგუფში გაწევრიანება ხდება Site Permissions ბრძანებით (ნახ.50).



ნახ.50. მომხმარებელთა უფლებების შემოწმება


მივიღებთ დიალოგურ ფანჯარას, სადაც შესაბამის ჯგუფში ვაწევრიანებთ შესაბამის მომხმარებელს (ნახ.51).

The image shows the 'Permission Tools' interface in SharePoint. It includes a 'Permission Tools' header with 'Inheritance', 'Grant', and 'Check' sub-sections. Below this is a yellow banner stating 'This Web site inherits permissions from its parent. (Central Administration)'. At the bottom, there is a table listing permissions for various libraries and lists.

Libraries	Name	Type	Permission Levels
Site Pages	ASU\administrator	User	Full Control, Limited Access
Shared Documents	Delegated Administrators	SharePoint Group	Contribute
	Farm Administrators	SharePoint Group	Full Control


ნახ.51. მომხმარებელთა გაწევრიანება ჯგუფში

ახალი მომხმარებლის დამატება ხდება Add Users ბრძანებით (ნახ.52).



ნახ.52. ახალი მომხმარებლის დამატება

აღსანიშნავია, რომ თითოეული მომხმარებელი უნდა გავაწევრიანოთ სათითაოდ (ნახ.53).




ნახ.53. მომხმარებლის არჩევის ფორმა

ავთენტურ მომხმარებელს Windows Server-ი ქვეშ ხაზს გაუსვავს (ნახ.54).



ნახ.54. ავტენტური მომხარებელი

გაწევრიანების შემდეგ ნახაზზე წარმოდგენილი ფანჯარა (ნახ.55):



ნახ.55. გაწევრიანებული მომხმარებლები

ლაბორატორიული სამუშაო N5: დოკუმენტბრუნვა

სამუშაოს მიზანი: დოკუმენტბრუნვის პროცესის გაცნობა და მისი მრავალმომხმარებლურ რეჟიმში მუშაობის პრინციპების შესწავლა.

სამუშაოს მსვლელობა:

check-in / check-out ბრძანებების გააქტიურება

დოკუმენტის რედაქტირებისა და შენახვის შემდეგ სხვა მომხმარებლებს მაშინვე შეუძლიათ ნახონ მოდიფიცირებული დოკუმენტი და ის ცვლილებები, რომლებიც იქნა განხორციელებული. იმ დროს, როდესაც ერთი მომხმარებელი ახორციელებს რაიმე ფაილის რედაქტირებას, შეიძლება სხვაც მუშაობდეს ამავე დოკუმენტზე. ამ პრობლემების თვიდან აცილების მიზნით საჭიროა გამოვიყენოთ SharePoint-ის check-in და check-out შესაძლებლობები.


თუ დოკუმენტში გვინდა ცვლილებების შეტანა, ავირჩიოთ ბრძანება Check out-ს საჭირო დოკუმენტისთვის, რადგან ჩვენთან ერთად სხვა მომხმარებელმაც არ განახორციელოს რაიმე ცვლილება ამ დოკუმენტზე და არ გამოვიწვიოთ კონფლიქტი. შემდეგ ვირჩევთ იმ პროგრამას, რომელშიც უნდა გავხსნათ და შევცვალოთ დოკუმენტი; ცვლით დოკუმენტის შიგთავსს, ვირჩევთ ბრძანებას Check in და დავიმახსოვრებთ.

SharePoint გვაძლევს საშუალებას ერთდროულად რამდენიმე დოკუმენტზე ჩავრთოთ check-in და check-out. ამისათვის, მოვნიშნავთ დოკუმენტების ბიბლიოთეკიდან რამდენიმე ფაილს, მონიშნული ფაილების გვერდით გაჩნდება ე.წ. „selection box“, სადაც მოთავსდება რედაქტირებისათვის განკუთვნილი ფაილები.


შემდეგ ვირჩევთ Check Out-ს ან Check In ბრძანებას Library Tools – >Documents ribbon Open & Check Out ჯგუფიდან (ნახ.56-57).

როდესაც ერთი მომხმარებელი მუშაობს დოკუმენტზე სხვა ვერ ხედავს ცვლილებებს მანამ, სანამ ეს უკანასკნელი არ ჩართავს ბრძანებას check in. თუ ისინი აირჩევენ დოკუმენტის დათავლიერებას ნახვენ დოკუმენტის იმ ვერსიას, რომელიც იყო მანამდე, სანამ დაიწყებოდა რედაქტირება და ჩართული იქნებოდა check out ბრძანება. ასევე მათ არ შეუძლიათ განახორციელონ ცვლილებები ამ დოკუმენტზე. სხვები ვერ ნახვენ რედაქტირებულ დოკუმენტს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას ცვლილებების მერე შევინახავთ. იმისათვის რომ შეცვლილი დოკუმენტის ნახვა შეძლოს ყველამ, საჭიროა check in ბრძანების ჩართვა.

მომხმარებლებს, რომლებსაც აქვთ უფლებების სრული პაკეტი, შეუძლიათ ყველა იმ დოკუმენტზე ჩართონ check in, რომლებზეც სხვა მომხმარებლებს აქვთ დადებული check out. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „სუპერ უფლებების“ მქონე მომხმარებელს შეეძლოს სხვა მომხმარებლების მიერ დადებული ბრძანების შეცვლა, რადგან თუ რომელიმე მომხმარებელმა დატოვა კომპანია, საჭიროა ვინმე სხვას ჰქონდეს წვდომა მის მიერ განხორციელებულ სამუშაოზე.




ნახ.56. ბრძანება check out



ნახ.57. ბრძანება check in


დოკუმენტების ვერსიები

Share Point-ის სიები საშუალებას გვაძლევს შევინახოთ დოკუმენტების სხვადასხვა ვერსიები ცალ-ცალკე. ამისათვის, საჭიროა შემდეგი მოქმედებების შესრულება: ავირჩიოთ ბრძანება Library → Library Settings (ნახ. 58).



ნახ.58. ბრძანება Library Settings

ეკრანზე გამოჩნდება 59-ე ნახაზზე ნაჩვენები ფანჯარა, სადაც ვირჩევთ Versioning settings ბრძანებას.



ნახ.59. ბრძანება Versioning settings

განვიხილოთ პარამეტრები:

ბიბლიოთეკის დოკუმენტების ვერსიების კონტროლი ხდება ქვემოთ მოცემული მოდულებიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- ძირითადი ვერსიების კონტროლი - ვერსიების ნუმერაცია იწყება თანამიმდევრულად (1,2,3,4). თითოეული შენახული ვერსია ითვლება ძირითად ვერსიად (ნახ.60).

- ძირითადი და დამხმარე ვერსიების კონტროლი - ვერსიების ნუმერაციის დროს გამოიყენება წერტილი. პირველი ციფრი (მარცხნიდან) - ძირითადი ვერსიის ნომერია; წერტილის შემდეგი ციფრი - სამუშაო ვერსიის ნომერი. თუ პირველი ციფრი 0 - ე.ი. ჯერ არ შექმნილა. ძირითად დოკუმენტს უნდა ჰქონდეს პირველი ციფრი განსხვავებული ნულისგან და მეორე - ნული (1.0,2.0, 3.0).

Require content approval for submitted items?
 Yes No

Create a version each time you edit a file in this document library?
 No versioning
 Create major versions
 Example: 1, 2, 3, 4
 Create major and minor (draft) versions
 Example: 1.0, 1.1, 1.2, 2.0

Optionally limit the number of versions to retain:
 Keep the following number of major versions:

 Keep drafts for the following number of major versions:

Who should see draft items in this document library?
 Any user who can read items
 Only users who can edit items
 Only users who can approve items (and the author of the item)

Require documents to be checked out before they can be edited?
 Yes No


OK Cancel

ნახ.60. ვერსიების პარამეტრების მითითების ფორმა

მას შემდეგ, რაც არჩეული იქნება ვერსიების მართვა, საჭიროა მივუთითოთ დოკუმენტების ვერსიების რაოდენობაზე შეზღუდვა. ეს შეზღუდვა აუცილებელია იმ შემთხვევაში, თუ ინტენსიურად ხდება დიდი დოკუმენტების ხშირი შეცვლა და საჭიროა დისკზე შევსებული ადგილის ოპტიმიზაცია. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტის ახალი ვერსიის შენახვის დროს იქმნება ფაილის სრული ასლი.

სიების შემთხვევაში არ გვაქვს საშუალება ავირჩიოთ ორი მოდელიდან ერთ-ერთი - სიის ელემენტის ვერსიის ნუმერაცია ხდება ჩვეულებრივი თანამიმდევრობით (1,2,3,4).

დოკუმენტების ვერსიების ნახვა შეიძლება თვით დოკუმენტის კონტექსტური მენიუდანაც (ნახ. 61).



ნახ.61. დოკუმენტის კონტექსტური მენიუდან არჩეული ბრძანება Version Hystory

62-ე ნახაზზე მოცემულია კონკრეტული დოკუმენტისთვის ჩართული Version Hystory ბრძანება.




ნახ.62. ბრძანება Version Hystory კონკრეტული დოკუმენტისთვის

დოკუმენტებთან სამუშაო სივრცე

დოკუმენტების ბიბლიოთეკა საშუალებას გვაძლევს შევქმნათ დოკუმენტების სამუშაო სივრცე.

სამუშაო სივრცეების შესაქმნელად საჭიროა ავირჩიოთ დოკუმენტი და მისი კონტექსტური მენიუდან ავირჩიოთ ბრძანება

Send To → Create Document Workspace (ნახ. 63).



ნახ.63. დოკუმენტების Workspace-ის შექმნა

ზემოთ მოყვანილი ბრძანებების შესრულების შემდეგ, ჩვენს სამუშაო სივრცეს ექნება 64-ე ნახ-ზე მოცემული სახე.

დოკუმენტებთან სამუშაო სივრცე არის შესაძლებლობა, რითაც იზრდება ფაილებთან მუშაობის ხარისხი დოკუმენტების ბიბლიოთეკაში.

Page

ვალდებულებები

Search this site...

Announcements

Welcome to the ვალდებულებები Document Workspace NEW
by ASU\administrator
You can use this Document Workspace to work on documents with other members of the site. Use the Tasks list to assign and manage Shared Documents library to share them with others. Use the Links list to create shortcuts to files...

+ Add new announcement

Shared Documents

Type	Name	Modified	Modified By
	ვალდებულებები <small>NEW</small>	2/4/2017 4:40 AM	ASU\administrator

+ Add document

Members

- ASU\administr...
- Groups
- + Add new use...

Links

There are current... display. To add a link".


Tasks

Title	Assigned To	Status
-------	-------------	--------

ნახ.64. დოკუმენტების სამუშაო სივრცე

ბრძანება Send To

მენიუს მთავარი დანიშნულებაა მომხმარებელს მისცეს დოკუმენტაციის ასლების შექმნის საშუალება სხვა ბიბლიოთეკებიდან და მართოს ეს დოკუმენტები. კოპირებული დოკუმენტების დადებითი მახასიათებელია ის, რომ შესაძლებელია ყველა ასლის განახლებასთან ერთად დედნების განახლებაც. კოპირების ფანჯარაში შეგვიძლია მივუთითოთ ბრძანება - გვანახოს შეტყობინება, როდესაც იქმნება დოკუმენტების ასლები და როდესაც დედანი ახლდება (ნახ. 65).




ნახ.65. ბრძანება Send to

დოკუმენტების ფილტრაცია და სორტირება

SharePoint Server-ში არსებობს საშუალება მოვახდინოთ ბიბლიოთეკაში არსებული დოკუმენტების ფილტრაცია და სორტირება.

დოკუმენტაციის საცავში ყოველ სვეტს, სათურის გვედით აქვს ჩამოსაშლელი სია, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია მოვახდინოთ დოკუმენტების სორტირება ანბანის, თარიღის და ა.შ. მიხედვით.

ფილტრის გასაუქმებლად ჩამოსაშლელ მენიუმში ვირჩევთ clear filter-ს (ნახ. 66).



ნახ.66. დოკუმენტების სორტირება

წარმოდგენების შექმნა

წარმოდგენები - ესაა ბიბლიოთეკაში დოკუმენტების ან სიის ელემენტების ეკრანზე გამოტანის რომელიმე ხერხი.

წარმოდგენების შექმნის ფუნქცია აქვს დოკუმენტების ყველა ბიბლიოთეკას. ისინი განსაზღვრავენ, თუ რომელი ბიბლიოთეკა რა ფორმატში იყოს წარმოდგენილი მომხმარებლისათვის. მომხმარებელს, რომელიც სარგებლობს მართვის უფლებებით, შეუძლია შექმნას დოკუმენტაციის წარმოდგენის ახალი რეჟიმი.

შექმნათ სიისათვის სპეციალური წარმოდგენა:


- ავირჩიოთ სია, რომლისთვისაც ვქმნით წარმოდგენას;
- ავირჩიოთ ბრძანება List tools → list → Create view (ნახ. 67)
- ავირჩიოთ რომელი ტიპის წარმოდგენის (view) შექმნა გვინდა.

67-ე ნახაზზე ჩვენ შემთხვევაში არჩეულია სტანდარტული ვარიანტი.

Create view გვერდზე მივუთითოთ წარმოდგენის სახელი და განვსაზღვროთ პარამეტრები (ნახაზი 68).

• დოკუმენტების დათვალიერების ეს რეჟიმი ყველასთვის წვდომადი იყოს, თუ პერსონალური;

- რომელი თანამიმდევრობით იყოს დალაგებული დოკუმენტაცია;
- როგორი იყოს სვეტების სორტირება;
- რა რეჟიმში იყოს წარმოდგენილი დოკუმენტების განლაგება;
- გამოჩნდეს თუ არა ფოლდერებში მოთვსებული დოკუმენტები;
- რამდენი დოკუმენტი გამოჩნდეს და ა.შ.



ნახ.67. წარმოდგენის შექმნა

<p>Name</p> <p>Type a name for this view of the document library. Make the name descriptive, such as "Sorted by Author", so that site visitors will know what to expect when they click this link.</p>	<p>View Name:</p> <input type="text" value="View 1"/> <p><input type="checkbox"/> Make this the default view (Applies to public views only)</p>												
<p>Audience</p> <p>Select the option that represents the intended audience for this view.</p>	<p>View Audience:</p> <p><input type="radio"/> Create a Personal View Personal views are intended for your use o</p> <p><input checked="" type="radio"/> Create a Public View Public views can be visited by anyone using</p>												
<p>Columns</p> <p>Select or clear the check box next to each column you want to show or hide in this view of this page. To specify the order of the columns, select a number in the Position from left box.</p>	<table border="1"> <thead> <tr> <th>Display</th> <th>Column Name</th> </tr> </thead> <tbody> <tr> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td>Type (icon linked to document)</td> </tr> <tr> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td>Name (linked to document with</td> </tr> <tr> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td>Modified</td> </tr> <tr> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td>Modified By</td> </tr> <tr> <td><input checked="" type="checkbox"/></td> <td>asd</td> </tr> </tbody> </table>	Display	Column Name	<input checked="" type="checkbox"/>	Type (icon linked to document)	<input checked="" type="checkbox"/>	Name (linked to document with	<input checked="" type="checkbox"/>	Modified	<input checked="" type="checkbox"/>	Modified By	<input checked="" type="checkbox"/>	asd
Display	Column Name												
<input checked="" type="checkbox"/>	Type (icon linked to document)												
<input checked="" type="checkbox"/>	Name (linked to document with												
<input checked="" type="checkbox"/>	Modified												
<input checked="" type="checkbox"/>	Modified By												
<input checked="" type="checkbox"/>	asd												


ნახ.68. წარმოდგენების პარამეტრები

შეტყობინებების მართვა


დოკუმენტებზე ერთდროული მუშაობის ძალიან მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ ვინ შეიტანა ამ დოკუმენტში ცვლილებები. ამ შემთხვევაში სასურველია შეტყობინებების მიღება ელექტრონულ ფოსტაზე. მოქმედებათა თანამიმდევრობა ასეთია:

- ავირჩიოთ დოკუმენტი;
- ავირჩიოთ ბრძანება Alert me → Set alert on this document
- შევავსოთ დიალოგურ ფანჯარა

69-ე, 70-ე და 71-ე სურათებზე ნაჩვენებია შეტყობინებების მართვის პროცესი.



ნახ.69. ბრძანება Alert me



ნახ.70. შეტყობინებების დამატება/წაშლა

მომხმარებლის ი-მეილის დასამატებლად საჭიროა შემდეგი ბრძანებების შესრულება:

Central Administration → Application Management → Manage Service Applications → Manage User Profiles

შეტყობინების (Alert) ჩასართვად საჭიროა ბრძანებათა შემდეგი თანამიმდევრობის განხორციელება:

Central Administration → General Application Settings → Search → Farm Search Administration → Search Service Application → Search alerts status

შემდეგ ვირჩევთ ბრძანებას:

Central Administration → Application Management → System Settings → E_mail and text Messages → Configure outgoing e-mail settings

SMTP-ს გასაგებად საჭიროა ბრძანება ping smtp.mysite.com ან ping mail.mysite.com.

Brzanebebi: ბრძანება პრემიუმის გაცემის შესახებ.docx - New Alert

OK Cancel

Alert Title
Enter the title for this alert. This is included in the subject of the notification sent for this alert.
Brzanebebi: ბრძანება პრემიუმის გაცემის შესახებ *

Send Alerts To
You can enter user names or e-mail addresses. Separate them with semicolons.
Users:
SP\administrator ;

Delivery Method
Specify how you want the alerts delivered.
Send me alerts by:
 E-mail
 Text Message (SMS)
 Send URL in text message (SMS)

Send Alerts for These Changes
Specify whether to filter alerts based on specific criteria. You may also restrict your alerts to only include items that show in a particular view.
Send me an alert when:
 Anything changes
 Someone else changes a document
 Someone else changes a document created by me
 Someone else changes a document last modified by me

When to Send Alerts
Specify how frequently you want to be alerted. (mobile alert is only available for immediately send)
 Send notification immediately
 Send a daily summary
 Send a weekly summary
Time:
Saturday 12:00 PM

ნახ.71. ბრძანება Alert me-ს პარამეტრები

ლაბორატორიული სამუშაო N6

მონაცემთა ბაზასთან დაკავშირება ტერიტორიულად დაშორებული კომპიუტერიდან


სამუშაოს მიზანი: SharePoint Designer-ის გაცნობა; ტერიტორიულად დაშორებული კომპიუტერიდან მონაცემთა ბაზასთან დაკავშირების შესწავლა.

სამუშაოს მსვლელობა:

SharePoint Designer-ის საშუალებით შესაძლებელია მონაცემთა ბაზის დაკავშირება SharePoint Server-თან.


გააქტიურეთ SQL Server Management Studio. დააპროექტეთ მონაცემთა ბაზა.

72-ე ნახაზზე მოცემულია „დისტრიბუციის“ ფირმისთვის Sql Server-ზე დაპროექტებული ბაზა :




ნახ.72. SQL Server-ის ცხრილები

73-ე ნახაზზე მოცემულია ამ ბაზის შესაბამისი არსთა დამოკიდებულებათა (ER) მოდელი:




ნახ.73. ორგანიზაციის მმ-ის ფრაგმენტი

გავხსნათ საიტი Sharepoint Designer-ის საშუალებით. ამისათვის გავაქტივოთ Sharepoint Designer, Site name ველში მივუთითოთ საიტის მისამართი, მაგალითად, <http://win-k8fk5q18a8p:11600/Distribucia>. მივიღებთ 74-ე ნახაზზე ნაჩვენებ ფანჯარას.




ნახ.74. საიტის გახსნა Sharepoint Designer-ის საშუალებით

შემდეგ ბოჯზე ავირჩიოთ ბრძანება External Content Type (ნახ.75).



ნახ.75. ბრძანება External Content Type


ავირჩიოთ Click here to discover external data sources and define operations ლიბეკო (ნახ.76).




ნახ.76. გარე სიასთან დაკავშირება

ეკრანზე მიღებული დიალოგური ფანჯრიდან ავირჩიოთ SQL Server-ი (ნახ. 77).

მივუთითოდ სერვერის სახელწოდება და იმ მონაცემთა ბაზის დასახელება, რომელთანაც ვაპირებთ დაკავშირებას და მონაცემების შეტანას (ნახ. 78).




ნახ.77. SQL Server-ის არჩევა



ნახ.78. SQL Server-თან დაკავშირების ფორმა

მივიღებთ 79-ე ნახაზზე ნაჩვენებ შეტყობინებას.



ნახ.79. შეცდომის ფანჯარა

პრობლემა ასე შეიძლება განვმარტოთ: გვინდა დავუკავშირდეთ გარე მონაცემებს, რომლებიც ინახება სხვა სერვერზე, კერძოდ SQL Server-ზე. ხოლო მონაცემთა ბაზასთან მიმართვა შეზღუდულია და ეს უფლება აქვს მხოლოდ Windows-ავტორიზებულ მომხმარებლებს. ამ პრობლემის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა გავვეცნოთ SharePoint Server-ის ერთ-ერთ სერვისს - Business Connectivity Services.

არსებობს გარე მონაცემებთან მიმართვის რამდენიმე საშუალება.

- დაკავშირება მომხმარებლის იდენტიფიკაციით;
- დაკავშირება Windows იდენტიფიკაციით;
- დაკავშირება სხვა მომხმარებლის იდენტიფიკაციით.

თუ ავირჩევთ Windows-ით ავტორიზაციას, აუცილებელია Secure Store Application ID-ს მითითება. განვმარტოთ იგი. მონაცემთა უსაფრთხოდ შენახვის სამსახური რეალურად წარმოადგენს ნამდვილობის შემოწმების პროცედურას, რომლის განხორციელებაც ხდება სერვერზე.

მონაცემთა უსაფრთხოდ შენახვის სამსახური მოიცავს მონაცემთა ბაზას, სადაც ინახება მომხმარებელთა სააღრიცხვო ჩანაწერები (ასევე მათი პაროლები) იმ აპლიკაციების იდენტიფიკატორებისათვის, რომლებსაც იყენებენ აპლიკაციები საერთო რესურსებთან ავტორიზებული მიმართვის დროს. მაგალითად, SharePoint Server-ის უსაფრთხოდ შენახვის მონაცემთა ბაზა შეიძლება გამოყენებულ იქნეს სააღრიცხვო ჩანაწერების შესანახად/ამოსაღებად გარე მონაცემებთან მიმართვის დროს.

ლაბორატორიული სამუშაო N7


Secure Store სამსახურის შექმნა

სამუშაოს მიზანი: Secure Store სამსახურის გაცნობა და მისი მუშაობის პრინციპების შესწავლა.

სამუშაოს მსვლელობა:

Secure Store სამსახურის შექმნა ხდება შემდეგი თანამიმდევრობით:

ვაქტიურებთ Sharepoint central administration სამსახურს და ვირჩევთ Secure Store Service (ნახ.80).



ნახ.80. Secure Store სერვისის არჩევა

Secure Store სამსახური ინახავს კონფიდენციალურ მონაცემებს, ამიტომ საჭიროა მისი დაშიფვრა. თავდაპირველად აუცილებელია იმ გასაღების გენერირება, რომლითაც მოხდება შინაარსის დაშიფვრა. ასევე აუცილებელია დაშიფვრის გასაღების არქივაცია.

შევქმნათ ახალი Secure Store Target Application. შევავსოთ ფორმა. მითითებული ი-
მეილი აუცილებლად უნდა იყოს საკონტაქტო პირის რეალური მისამართი (ნახ.81).

The screenshot shows a configuration form for a 'Target Application'. The fields are as follows:

- Target Application ID:** nino
- Display Name:** nino
- Contact E-mail:** nintopuria@gmail.com
- Target Application Type:** Individual (dropdown menu)
- Target Application Page URL:**
 - Use default page
 - Use custom page
 - None

ნახ.81. Secure Store სერვისის ფორმა

შემდეგ ეტაპზე საჭიროა ფრაზა-პაროლის მითითება (ნახ. 82).

The screenshot shows the 'Generate New Key' page with the following content:

Generate New Key

The credential database is encrypted by using a key. The key is generated based on the pass phrase. Please specify the pass phrase.

Warning: this page is not encrypted for secure communication. User names, passwords, and any other information will be sent in clear text. For more information, contact your administrator.

You will re-encrypt the database using a new key. This process may take several minutes. It is recommended that you back up the database before generating a new key.


Passphrase:

Confirm Pass Phrase:

The pass phrase you enter will not be stored. Make sure you record the pass phrase and store it safely. The pass phrase is case-sensitive. You will be required to add new secure store service servers, and for restoring to a backed-up Secure Store database. During the encryption it will not be possible to set credentials.


ნახ.82. ფრაზა-პაროლის მითითება

ეკრანზე გამოჩნდება 83-ე ნახაზზე მითითებული ფანჯარა, სადაც ცვლილებების შეტანა არ არის საჭირო; ავირჩიოთ Next ღილაკი.



ნახ.83. Secure Store სერვისის ფანჯარა

საჭიროა მივუთითოთ საბოლოო აპლიკაციის ადმინისტრატორი და აპლიკაციის პარამეტრები (ნახ. 84).



ნახ.84. არჩეული მომხმარებელი


Secure Store აპლიკაციის საბოლოო კოდი წარმოადგენს უნიკალურ იდენტიფიკატორს. საბოლოო აპლიკაციის შემდეგ, მისი შეცვლა შეუძლებელია.

ამგვარად, შეიქმნა Secure Store Application ID, რომელიც აუცილებელია გარე მონაცემებთან კავშირის დროს.

შემდგომში, გარე მონაცემებთან მიმართვის დროს აუცილებელი იქნება ერთხელ პაროლის შეტანა, რათა მოხდეს მომხმარებლის ავტორიზაცია.


კავშირი დამყარებულია, Data Source Explorer-ის ფანჯარაში გამოჩნდება ჩვენს მიერ არჩეული მონაცემთა ბაზის სახელი.

ავირჩიოთ ცხრილი, რომელთანაც ვაპირებთ მუშაობას და მისი კონტექსტური მენიუდან ავიჩიოთ Create All Operations ბრძანება (ნახ. 85).




ნახ.85. ოპერაციების არჩევა

ავირჩიოთ Next ღილაკი (ნახ. 86).




ნახ.86. ოპერაციების ფანჯარა

მოვნიშნოთ ის ველები, რომლებიც გვინდა რომ ჩანდეს ვებ-გვერდზე და ავირჩიოთ Finish ღილაკი (ნახ. 87).




ნახ.87. არჩეული ველების ფანჯარა

ეკრანზე გამოჩნდება 88-ე ნახაზზე ნაჩვენები ფანჯარა, რომელიც გვიჩვენებს, რომ External Content Type-ის საშუალებით შესაძლებელი იქნება მონაცემების შექმნა, წაკითხვა, განახლება და წაშლა.




ნახ.88. გარე სიიდან დასაშვები ოპერაციები

შევიწინოთ ცვლილებები yes ღილაკით და დავხუროთ Sharepoint Designer-ის ფანჯარა (ნახ. 89).



ნახ.89. ცვლილებების დამახსოვრების ფანჯარა


90-ე სურათზე ნაჩვენებია გარე სიის შექმნის პროცესი, რომელიც უკვე დაკავშირებულია მონაცემთა ბაზასთან.



ნახ.90. გარე სიასთან დაკავშირება

გარე სიის (External List) შექმნა

დავხუროთ Sharepoint Designer-ის ფანჯარა. გავააქტიუროთ კოპრორეატიული საიტი და ავირჩიოთ გარე სია - „ახალი დისტრიბუტორი“. ეკრანზე მიიღება 91-ე ნახაზზე ნაჩვენები ფანჯარა, რომელიც გვეუბნება, რომ მიმართვა აკრძალულია Business Connectivity Services-ით.



ნახ.91. Business Connectivity Services-ის შეცდომა


შემდეგ ეტაპზე საჭიროა Business Connectivity Services კონფიგურირება.

Business Connectivity Services წარმოადგენს SharePoint-ისა და Office-ის ცენტრალიზებულ ინფრასტრუქტურას, რომელიც მონაცემებთან მუშაობის ინტეგრირებულ გადაწყვეტილებებს უზრუნველყოფს.

ეს სერვისი საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ SharePoint და Office კლიენტები ისეთ მონაცემებთან სამუშაოდ, რომლებიც განთავსებულია SharePoint-ის გარეთ. ჩვენს შემთხვევაში ეს მონაცემები განთავსებულია SQL Server-ზე და მათი გამოტანა SharePoint-ის საიტზე მოხდება Business Connectivity Services-ის საშუალებით.


ავირჩიოთ ბრძანება Central Administration → Application Management → Manage Service Applications → Manage the BCS Service Application.

92-ე ნახაზზე მოცემულია Secure Store Service-ის გააქტიურება.




ნახ.92. Secure Store Service-ის გააქტიურება

გარე სიის კონტექსტური მენიუდან ავირჩიოთ Set Permissions ბრძანება და ჩავამატოთ იმ მომხმარებლის სააღრიცხვო ჩანაწერი, რომელსაც ვაძლევთ უფლებას იმუშაოს ამ სიასთან (ნახ.93).




ნახ.93. გარე სისტემის უფლებების მინიჭება

94-ე ნახაზზე წარმოდგენილია უფლების მინიჭების პროცესი.



ნახ.94. მომხარებლისთვის უფლებების მინიჭება

შემდეგ ეტაპზე ჩავამატოთ ახალი ჩანაწერი. ავირჩიოთ Add Item ბრძანება (ნახ. 95).



ნახ.95. ახალი ჩანაწერის ჩამატება

ეკრანზე გამოჩნდება ფორმა, რომელსაც ფირმის თანამშრომელი ავსებს ტერიტორიულად დაშორებული კომპიუტერიდან ან მობილური მოწყობილობიდან (ნახ. 96).


ნახ.96. დისტრიბუტორის ფორმის შევსების პროცესი

კორპორაციული საიტის ვებ-გვერდზე მაშინვე აისახება SQL Server-ის ცხრილი, რომელსაც 97-ე ნახაზზე ნაჩვენები სახე აქვს:

dis_id	saxeli	gvari	piradi nomeri	telefonis nomeri	misamarti
1	Giorgi	Dvali	62001275896	55555555	tbilisi
2	Saba	Dgebuadze	45101022333	555576512	rustavi
3	Irakli	Eliava	10001245789	598636154	foti
4	Giorgi	Glonti	1896724567	577889922	

ნახ.97. საიტზე გამოტანილი მონაცემები

ანალოგიურად, შეგვიძლია შევქმნათ რამდენიმე გარე სია. აღსანიშნავია, რომ თითოეულ გარე სიას სჭირდება Business Data Connectivy სერვისის კონფიგურირება, ანუ უფლებების მინიჭება.



ნახ.98. ახალი მომხმარებლისთვის ბაზასთან წვდომის უფლების მინიჭება

იმისათვის რომ, Sql-ბაზასთან შეძლოს მუშაობა სხვა მომხმარებელმა, აუცილებელია მივანიჭოთ მას ეს უფლებები. გავააქტიუროთ SQL Server Management Studio, ავირჩიოთ ჩვენი მონაცემთა ბაზა და Security-ის კონტექსტური მენიუდან New User ბრძანებით ჩავამატოთ ახალი მომხმარებელი (ნახ.98).

მეტად მოხერხებულია ის ფაქტი, რომ თანამშრომელი მონაცემების შეტანას შეძლებს ტერიტორიულად დაშორებული კომპიუტერიდან ან უფრო უკეთესი - მობილური ტელეფონიდან. მონაცემები შეტანისთანავე აისახება კორპორაციული პორტალის ვებ-გვერდზე და ტერიტორიულად დაშორებულ SQL Server-ის ბაზაში .

ლაბორატორიული სამუშაო N8

სამუშაოს მიზანი: Web-ნაწილების გამოტანა ვებ-გვერდზე

სამუშაოს მსვლელობა: Excel Services-ის გაცნობა და კონფიგურირება; დიაგრამებისა და Google Map-ის ვებ-გვერდზე გამოტანის შესწავლა.

Excel Services-ების გამოყენება

Excel-ის დიაგრამების გამოტანა კორპორაციული საიტის ვებ-გვერდზე ხორციელდება Excel Services-ის საშუალებით. Excel Services საშუალებას იძლევა დავათვალიეროთ Excel-ის მონაცემები უშუალოდ ბრაუზერში. იგი წარმოადგენს SharePoint ტექნოლოგიას, რომელიც აფართოებს Excel-ს სერვერული ტექნოლოგიებით. მომხმარებელს შეუძლია მიმართოს და აწარმოოს ნებისმიერი სახის გამოთვლები Excel-ის სამუშაო წიგნში უშუალოდ ბრაუზერში, მაშინ როდესაც სერვერი უზრუნველყოფს მონაცემთა უსაფრთხოებასა და მართვას.

ბუნებრივია ამ სერვისს თავდაპირველად სჭირდება კონფიგურირება. თავდაპირველად, ამ შემთხვევაშიც, უსაფრთხოებისათვის დაგვჭირდება Secure Store service-ი.

ამისათვის საჭიროა შემდეგი ეტაპების შესრულება:

- გავააქტიუროთ SharePoint Central Administration;
- ავირჩიოთ ბრძანება Application Management → Manage service application;
- გავააქტიუროთ Secure Store Service;
- ლენტზე ავირჩიოთ New ბრძანება
- შევავსოთ Create New Secure Store Target application ფორმა; ნიმუში ნაჩვენებია 99-ე ნახაზზე.

შემდეგ ეტაპზე მივუთითოთ მომხმარებლის საადრიცხო ჩანაწერები როგორც ადმინისტრატორისათვის, ისე წევრებისათვის:

Target Application Administrators: (Domain\Administrator)

Members: (Domain\Domain Users)

შეიქმნება Target Application ID, მის წინ მდებარე ალამი და აირჩიეთ Generate New Key ბრძანება (ნახ. 99).

